პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

მარიამ ხაჩიძე
სტუ-ს სტუდენტი

ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას მთელი რიგი ფაქტორები ახდენს. საყოველთაოდ არის მიჩნეული, რომ პროდუქტიულობის და შესაბამისად, პროდუქციის ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რასაც დასაქმების და მოსახლეობის ზრდა მოაქვს. ასევე წარმოების ზრდა განათლებული და ჯანმრთელ მუშახელის შრომის შედეგია. ამავე დროს, ბიზნესის კეთების სიადვილე ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების და მეწარმეობის განვითარებას, ხოლო ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება - ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში მთავარ როლს ასრულებს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორადაა წარმოდგენილი და მთლიანობაში ქვეყნის ფინანსური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების მექანიზმებს უზრუნველყოფენ.

ტერმინი „ინვესტიცია" ყველაზე ფართო გაგებით წარმოებაში გრძელვადიან დაბანდებას ნიშნავს. ინვესტიციებით აღნიშნავენ რეალურ აქტივებს, რომლებიც საჭიროა გარკვეული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციისათვის. ასევე ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები ფასიან ქაღალდებში (აქციები, ობლიგაციები და სხვ).

ზოგადად, „ინვესტიციების'' კატეგორიის განსაზღვრისას ყველაზე გავრცელებული მიდგომების თანახმად, არნიშნულია, რომ ინვესტიციას ახასიათებს, კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდისთვის მატერიალური, ტექნოლოგიური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში მოგების (შემოსავლის) ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით.*

ინვესტიციებში მონაწილეობის ხასიათის მიხედვით უპირველესად განვსაზღვროთ პირდაპირი ინვესტიციები, რომელიც გულისხმობს შრომის პროდუქტის პირდაპირ გარდაქმნას წარმოების საშუალებად, რომელთა განხორციელება ძირითადად ხდება ახალი საწარმოების დაფუძნებით, უკვე არსებული საწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის საშუალებით. ანუ პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს: საწესდებო კაპიტალს ან უცხოური საწარმოების საწესდებო ფონდს, რეინვესტირებულ მოგებას და პირდაპირი ინვესტორების სხვა დაბანდებებს, ასევე საბანკო ინვესტიციებს.

წარმოდგენილი განმარტებები ცხადყოფს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან განსაკუთრებით გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) როლი მსოფლიო ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ II მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა მსოფლიოში უმსხვილესი ორგანიზაციების: მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაარსება. ისინი სწორედ ინვესტიციების ნაკადებს უწყობენ ხელს ღარიბ ქვეყნებში. განვითარებადი სავაჭრო პილიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა საქონლისა და მომსახურეობის საერთაშორისო წარმოების ზრდა, რაც თავის მხრივ ძალზე მნიშვნელოვნად აისახა ტექნოლოგიურ სფეროში. ამ პროცესებმა განსაკუთრებით ხელი შეუწყო განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობისა და ინვესტიციების მოძრაობის ლიბერალიზაციას, ბაზრების პრივატიზაციას. სწორედ გლობალიზაციის ხარჯზე მიეცათ განვითარებად ქვეყნებს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა.

მას შემდეგ, რაც უკვე XX საუკუნის 90-იან წლებში, კაპიტალდაბანდებების სხვა ფორმებთან შედარებით უპი-ები მეტად სტაბილურ ინვესტიციათა ნაკადს წარმოადგენდა, განვითარებად-

მა ქვეყნებმა მეტად სტაბილურად დაიწყეს შიდასაინვესტიციო პოლიტიკის გატარება იმისთვის, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო შეზღუდვები უცხოურ კაპიტალზე და ასევე მაქსიმალურად გაზრდილიყო მოგება ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა შემოყვანით. გლობალიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადების მოძრაობა, როდესაც უკვე 2000 წლისათვის უპი-ების მოცულობამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია (1.3 ტრლნ დოლარი).

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მოიძიოს და შესაბამისად მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რადგანაც ისინი ასოცირდებიან ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან.

ეკონომიკური დონის ზრდისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისათვის, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობაა, საინვესტიციო პროცესების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს მსგავსი, პატარა, მცირე რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

იმისათვის, რომ კომპანიებმა განახორციელონ ინვესტიციები, გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, აუცილებელია დამატებითი სტიმულებისა და შესაძლებლობების მიცემა, რაც საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ჩადებისათვის მიმზიდველი პირობების შექმნაში უნდა ავსახოთ. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ უპირველესად გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების შექმნას.

კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ინვესტორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთკავშირი უფრო კომპრომისული ხასიათისაა. როგორც წესი, ინვესტორის მთავარ მიზანს მოგების მაქსიმიზაცია, იაფი მუშახელისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენება წარმოადგენს. ასევე, გასაღების ბაზრის ათვისება და გაფართოება მინიმალური დანახარჯებით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. საქართველომ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან პირველმა განახორციელა ღია პოლიტიკა უცხოურ ივესტიციებთან მიმართებაში, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინებას და მშპ-ს ზრდას. ცალკეულ სეგმენტს თუ განვიხილავთ, უცხოური კაპიტალის ზრდა გამოიწვია ნავთობსა და ენერგო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ბენზინგასამართი სადგურების, მაღაზიათა ქსელების, მშენებლობის და ტურიზმის, მომსახურების სფეროს, საბანკო სექტორის ინვესტირებამ. შემდეგ განხორციელდა საკანონმდებლო რეფორმები, მიღებული იქნა საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი სპეციალური კანონები („საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ", „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ", საინვესტიციო ფონდების შესახებ"), ფინანსურ სფეროებში ცვლილება განხორციელდა - საგადასახადო და საბაჟო კუთხით.

საქართველოს ეკონომიკის ზრდა და შესაბამისად განვითარება დამოკიდებულია ისეთი დარგების სტაბილურად განვითარებასა და შესაბამისად ინვესტიციების ჩადებაზე, როგორიცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კონკრეტულად კი ათვისება და გამოყენება იმ პოტენციალისა, რომელიც საქართველოს საავტომობილო გზებს, სარკინიგზო მაგისტრალებს, საზღვაო პორტებს, ოქროს მოპოვებას, ქართული ჩაის წარმოებას მოიცავს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არხია, რომლის მეშვეობითაც განვითარებადი ქვეყნები ახორციელებენ ტურიზმის სექტორის განვითარებას. ამ მხრივ საქართველოს ძალზე მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ამ სექტორის განვითარება მოიცავს ისეთ ურთიერთ გადაჯაჭვულ დარგებს, როგორიც არის: სასტუმროების ბიზნესი, გართობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და სხვა. ამ სეგმენტში ქვეყანას შეუძლია მოიზიდოს ეკონომიკური აგენტები ტრანსნაციონალური კომპანიებიდან დაწყებული, მცირე და საშუალო საწარმოებით დამთავრებული, და მოხდეს ბაზრის სხვადასხვა შრეების ათვისება. ტურიზმში უპი-ების ძირითადი ნაწილი ხორციელდება სასტუმროებსა და რესტორნებში, ტურ-ოპერატორებში, ავიაკომპანიებში. მაშინ როდესაც ქვეყანას გააჩნია ტურიზმთან დაკავშირებული პრიორიტეტული აქტივები- ბუნება, კულტურა, სამზარეულო, ისტორიული ტრადიციები და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ნულოვანი წერტილიდან ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ სასტუმროთა ქსელების მშენებლობებით.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა შეიძი-

ნოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა გახდეს ევროპა-კავკასია–აზიის სატრასპორტო დერეფანი, რომელიც დღეს რკინიგზისა და სატრანსპორტო პორტების საშუალებით არაერთ მნიშვნელოვან ტვირთს ატარებს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის რეკომენდირებულია ასევე საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსლის შექმნა.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოს ომმა ქვეყანაში ეკონომიკური დეპრესია გამოიწვია. უმსხვილესი ინვესტორების გადინება მოხდა ქვეყნიდან, არაერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტიც შეჩერდა.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანუ სამეწარმეო კაპიტალის ფორმით ხორციელდება. ინვესტორთა დაინტერესება მიმართულია პირველ რიგში იმ დარგებისაკენ, სადაც საქართველოს მეტ-ნაკლებად უპირატესობები გააჩნია, ზოგადად სტაბილურია და მინიმალური თავდაპირველი დანახარჯებით სწრაფი უკუგების მიღებაა შესაძლებელი. ამგვარ სფეროებად ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია განხილულ იქნეს მომსახურების სფერო, საბანკო და სადაზღვეო საქმე, მაღალი ტექნოლოგიის დარგები. თავის მხრივ უცხოელი ინვესტორებიც დაინტერესებულნი არიან შეაღწიონ აღნიშნულ დარგებში, რათა უზრუნველყონ პოზიციების გამყარება მომავალში. არადა, ეკონომიკური თვალსაზრისით განუვითარებელ ან ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, რაიონებს, სფეროებს თუ კომპანიებს, რომლებიც ამ მომენტისათვის იმყოფებიან არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში, ყველაზე მეტი საჭიროება აქვთ ინვესტიციური რესურსებით უზრუნველყოფისა.

მაშინ, როდესაც ქვეყნის მთავრობა უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნას ცდილობს, არსებობს მთელი რიგი მიზეზი იმისა, თუ რატომ რჩება საქართველო ამ ეტაპზე ინვესტორთათვის ნაკლებ მიმზიდველ ქვეყნად. მაშინ, როდესაც ქართული საწარმოების უმრავლესობა განვითარების საწყის ეტაპზეა, ინვესტორს აბრკოლებს მზარდი საგარეო ვალი, მაშინ როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელოა, გაურკვევლია ეკონომიკური ზრდის პერსქპექტივები, განუვითარებელია საფინანსო ბაზარი, მეტ-ნაკლებად არასტაბილური პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, არ მოქმედებს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა, ქვეყანაში აღინიშნება მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობის მაღალი დონე. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ინვესტიციების არქონის პირობებში საქართველოში საკმაოდ მაღალია საწარმოო დანახარჯების დონე.

ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტები. რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე ინვესტიციის პოზიტიური გავლენა ეკონომიკის ზრდის ტემპის ცვლილებაში ვლინდება. აღსანიშნავია მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე წარმოების საერთაშორისო ქსლების წარმოშობა.

ინვესტიციები პოზიტიურად მოქმედებს მთლიან შიდა პროდუქტზე, ასტიმულირებს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ფართოვდება საექსპორტო ოპერაციები, შესაძლებელი ხდება უცხოელ პარტნიორთა სავაჭრო –კომერციულ საიდუმლოებათა გამოყენება. ინერგება და აქტიურდება სარეკლამო სამსახურების საქმიანობა ინოვაციური ტექნოლოგიების დაუფლების ხარჯზე, ხდება მენეჯერული მართვის პროგრესული მეთოდების შესწავლა-დანერგვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არის შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც უპი-ები უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, რაც ეფუძნება არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას. იოლი წვდომა საფონდო ბირჟაზე და კაპიტალზე (უცხოელთა ხელში გადადის დაფინანსებული ობიექტის საკუთრების უფლება), დამატებითი ფინანსური თუ სამართლებრივი გარანტიების მიცემა, რომელიც იშვიათ შემთხვევებში შესაძლოა გადასახადებისაგან თავის არიდების ან ურთიერთბლოკირების საშუალებასაც იძლეოდეს. ასევე, უცხოელ ინვესტორთა მხრიდან მოგების საზღვარგარეთ გატანის უპირობო შესაძლებლობა, რაც ფასებით მანიპულირების საშუალებით ხორციელდება: ისინი ხელოვნურად ზრდიან ფასებს იმპორტირებულ მასალებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე და ასევე ხელოვნურად ამცირებენ მას ქვეყნიდან გატანილ პროდუქციაზე. თავის მხრივ აღსანიშნავია ფაქტი, რომ მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფი ადგილობრივი მეწარმეები ადვილად თანხმდებიან მათთვის კაბალური პირობების შემცველი ხელშეკ-

რულების პირობებს, რის შედეგადაც ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი დარგები უცხოელი კერძო ინვესტორების ხელში გადადის. აღსანიშნავია, რომ გარკვეული საფრთხის შემცველია სტრატეგიული აქტივების მაძიებელ ინვესტორთა შემოსვლა ქვეყანაში.

საქართველოში არსებული შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის საუკეთესო ნაწილი, ბუნებრივი რესურსები, იაფად შეძენილი მსხვილი საწარმოები აკლდება ქვეყნის ეკონომიკას. ასევე ხდება ქვეყნიდან ინტელექტუალური პოტენციალის გადინება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აფერხებს ისედაც რთულ პირობებში მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

დღეს საქართველოსათვის უცხოურ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია. ქვეყანაში შემოსვლის მოსურნე ინვესტორები, უპირველეს ყოვლისა, განიხილავენ და აანალიზებენ იმ საინვესტიციო გარემოს, რომელიც რეციპიენტ ქვეყანას ახასიათებს. შემდგომ ამისა კი გარკვეული პოლიტიკური თუ ფინანსური რისკებისაგან დაზღვევას, თავის მხრივ სრულყოფილ სამართლებრივ – საკანონმდებლო ბაზას. ასევე, აუცილებელი წინაპირობაა საკუთრების უფლების დაცვა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მარტივი საბაჟო და საგადასახადო მექანიზმები, სტაბილური პოლიტიკურ ეკონომიკური გარემო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზ. ვაშაკიძე, „საინვესტიციო პოლიტიკის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული საკითხები" გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი": თბ., 2009,. გვ 10
- ე. კაკულია, „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა": გამომცემლობა „უნივერსალი": თბ., 2010.
- ლ. ქოქიური, ნ. ბებიაშვილი, „საინვესტიციო პროექტები: თეორია, ანალიზი, მართვა": თბ., 2010.
- http://unctad.org/en/docs/wir2002_en.pdf, WIR, 2002.
- N. Gregory Mankiw „Principles of Economics „By south Wesrern, a Thomson Learning Company" 2007.

ПРЯМЫЕ ИНОСТРАННЫЕ ИНВЕСТИЦИИ И ИХ ВЛИЯНИЕ НА ЭКОНОМИЧЕСКИЙ РОСТ СТРАН РЕЦИПИЕНТОВ

МАРИАМ ХАЧИДЗЕ
студент ГТУ

Одна из главных целей данной статьи заключается в прямых иностранных инвестициях общего смысла и в определении роли стран с переходящей экономикой,а точнее на примере Грузиию. Какие изменения могут повлечь за собой прямые иностранные инвестиции на фоне экономического роста в нашей стране. Также в теоретической части работы раскрыты все положительные и отрицательные факты прямых иностранных инвестиций, те социальные -экономические- правовые аспекты ,которые следуют за потоком инвестиций в стране.

DIRECT FOREIGN INVESTMENTS AND THEIR INFLUENCE ON THE ECONOMIC GROWTH OF THE RECIPIENT COUNTRIES

MARIAM KHACHIDZE
student of GTU

One of the main goals of this article implies the direct foreign investments of general point and in definition of the part of the countries with the transient economic, more exactly on the example of Georgia. What changes may be followed the direct foreign investments against the investment flow in our country. Also in theoretical part of the work is disclosed all the positive and negative facts of the direct foreign investments, those social- economic- legal aspects which follows investment flow in our country.